საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1848 2014 წლის 9 ოქტომბერი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თბილისობის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, თბილისობის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებული სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, 850 000 (რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი